

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი

1. სტუდენტთა და უნივერსიტეტში დასაქმებული ადამიანური რესურსისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში:

ა) იქმნება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტი, სადაც შესაძლებელია სტუდენტებისა და უნივერსიტეტში დასაქმებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელია ექიმი;

ბ) შრომის ხელშეკრულების საფუძველზე სრული სამუშაო განრიგით (ყოველ დღე 09.00 საათიდან 18.00 საათამდე, გარდა უქმე და დასვენების დღეებისა) პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტში მუშაობს ექიმი;

2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, მოწყობილია ექიმის მიერ ავადმყოფის მიღების საშუალებები, კაბინეტი უზრუნველყოფილია კომუნიკაციებით (ტელეფონი);

3. უნივერსიტეტი ვალდებულია ექიმის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, პერიოდულად;

4. თჰუ და თავად ექიმი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება.

5. ექიმი ვალდებულია აწარმოოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სარეგისტრაციო ჟურნალი, წელიწადში ერთხელ თჰუ რექტორს წარუდგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში;

6. სტუდენტები და უნივერსიტეტში დასაქმებულები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის მუშაობის განრიგისა და ტელეფონის თაობაზე, რაც ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას;

7. ექიმი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება;

გ) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საჭიროებისას, გაათავისუფლოს სტუდენტი მეცადინეობებიდან.

8. ექიმი წელიწადში ერთხელ (უპირატესად სასწავლო წლის დასაწყისში) ატარებს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საინფორმაციო-სასწავლო მეცადინეობას სტუდენტებისათვის, ყველა ფაკულტეტზე;

9. ექიმი ვალდებულია აწარმოოს უნარშეზღუდული სტუდენტების რეგისტრაცია, შეისწავლოს მათი სამედიცინო ისტორია, უზრუნველყოს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვა, სტუდენტის ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის განახლება, პერიოდულად გააკონტროლოს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის სტუდენტების ადაპტირების პრობები;

10. ექიმი უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი უნივერსიტეტის სველი წერტილებისა და სასადილოს ჰიგიენურ მდგომარეობაზე, აგრეთვე უნივერსიტეტის შენობისა და ეზოს დასუფთავებაზე, შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს რექტორს.